ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ა-12/14324400-16

"10" 12 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – კრწანისი, სკოლა №65–ის მომიჯნავედ (საკ. კოდი №01.18.06.018.048) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის III ბლოკი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ. არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1332813 16.06.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი – კრწანისი, სკოლა №65–ის მომიჯნავედ (საკ. კოდი №01.18.06.018.048) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე დეკორატიულ ლესვის ხაზებს მონაცვლებული აქვს ადილი. გასქელებულია აივნების ფილა და დამატებულია ლითონის ფურცლები. +23.10 ნიშნულზე მოაჯირებთან დამატებულია პარაპეტი. შემცირებულია ერთი საფეხურით სადარბაზოს კიბეების საფეხურების რაოდენობა. შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი და ალუმინის ნაცვლად მოწყობილია მეტალოპასმასის ვიტრაჟები. შეცვლილია სახურავის ფორმა, გაზრდილია კეხის სიმაღლე 0.3მ-ით და დამატებულია გამწოვი შახტები. დამატებულია სატელიტური თეფში. სამანქანოს გარე კედლებზე დამატებულია ღიობები და შეცვლილია კედლის ფორმა. გაზრდილია ფილის სიმაღლე და დამატებულია ლითონის კიბე. შეცვლილია ავტოფარეხების კარის გაბარიტი და ნახატი. და „7-7" და „ა-ა" ღერძების კვეთაზე გაზრდილია კოლონებს შორის მანძილი 0.5მ-ით. „3-3" და „დ-დ" ღერძების კვეთაზე შემცირებულია კოლონის კვეთი. გრუნტის ნიშნულები ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს.

-6.60 ნიშნულზე „ა-ა" ღერძის გარეთ შეცვლილია კედლების გაბარიტი, ფორმა და გაზრდილია კედლებს შორის მანძილი. „6-6" ღერძზე კედელი მოწყობილია კოლონების სიბრტყეზე. „8-9" მონაკვეთში შემცირებულია ღიობის გაბარიტი.

ფასადი „9-1": ფასადის წინ შეცვლილია კედლების, კიბის და გამწვანების ზოლების ფორმა და გაბარიტი. „9-5" მონაკვეთში გაუქმებულია გარე კიბის საფეხურები. +19.80 და +23.10 ნიშნულებზე აივნებზე დამატებულია ტიხრები.

ფასადი „1-9": არ არის მოწყობილი გამათბობლის კარადები და ხის ჯალუზები. „8-8" ღერძთან შეცვლილია კედლის ფორმა. „8-9" მონაკვეთში დამატებულია გარე კიბის საფეხურები. -6.60 ნიშნულიზე შეცვლილია ფასადის ფერი. +3.30 ნიშნულზე „1-2" მონაკვეთში გაზრდილია ფანჯრების სიმაღლე 0.2მ-ით. +19.80 ნიშნულზე „8-9" მონაკვეთში გაზრდილია მოაჯირთან პარაპეტის სიმაღლე.

ფასადი „ა-დ": -6.60 ნიშნულზე გაუქმელია სამი ღიობი. -3.30 ნიშნულზე გაუქმებულია ერთი ღრობი. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი. +19.80 ნიშნულზე გაზრდილია მოაჯირთან პარაპეტის სიმაღლე. დამატებულია გამწოვი შახტა.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №13-62 23.12.2011წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო

სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ნიუ ჰაუსი“-ს, ანდრო დოლიძეს, ქ. თბილისში, სექტორი – კრწანისი, სკოლა №65–ის მომიჯნავედ (საკ. კოდი №01.18.06.018.048) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის III ბლოკი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14324400-16 20.11.2014წ. და
№12/14324400-16 20.11.2014წ. განცხადებები.

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი